ხაშურის მოამბე

№15 (146) 16 აპრილი, ორშაბათი, 2018 წელი

შიდა ქართლს ახალი სახელმწიფო რწმუნებული - გუბერნატორი ჰყავს

აკაკი მაჭუტაძე

დაბადების თარიღი: 1974 წლის 11 მარტი

განათლება:

1991-1995 წწ. აღორძინების კავშირის ქ.თბილისის ბიზნესის ინსტიტუტი, სპეციალობა- საგარეო ეკონომიკური საქმიანობა;

1995-1996 წწ. აღორძინების კავშირის ქ.თბილისის ბიზნესის ინსტიტუტი, საგარეო ეკონომიკური საქმიანობის მაგისტრი;

1996-1998 წწ. საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს აკადემიის სასწავლო კურსი;

2000 წელი - ეგვიპტის ხ.მუბარაკის სახელობის პოლიციის აკადემია-ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სრული კურსი;

სამუშაო გამოცდილება:

13/12/2013-29/03/2018 წ. სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი სამცხე-ჯავახეთის მხარეში;

24/07/2013 - 13/12/2013 შსს სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოს(დეპარტამენტი) სამცხე-ჯავახეთის რეგიონული სამმართველოს უფროსი;

25/04/2013 - 24/07/2013 წწ. საბაჟო დეპარტამენტის სანიტარული, ფიტოსანიტარული და ვეტერინარული კონტროლის სამმართველოს უფროსის მოადგილე;

08/11/2012 - 25/04/2013 წწ. საბაჟო დეპარტამენტის მონიტორინგისა და რისკების მართვის სამმართველოს უფროსი;

11/07/2012 - 08/11/2012 წწ. საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის კახეთის სამმართველოს უფროსი;

22/06/2012 - 11/07/2012 წწ. პრევენციის დეპარტამენტის კახეთის სამმართველოს უფროსი;

07/06/2011 - 22/06/2012 წწ. საგადასახადო პრევენციის დეპარტამენტის კახეთის სამმართველოს უფროსი;

10/05/2011 - 07/06/2011 წწ. საგადასახადო პრევენციის დეპარტამენტის მონიტორინგის მთავარი ოფიცერი;

01/02/2011 - 10/05/2011 წწ. შიდა კონტროლის დეპარტამენტის მონიტორინგის სამმართველოს უფროსი;

10/01/2011 - 01/02/2012 წწ ეკონომიკური საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ოპერატიული მართვის სამმართველოს უფროსი;

12/11/2010 - 10/01/2011 წწ შიდა კონტროლის დეპარტამენტის ეკონომიკური ზონის კონტროლის სამმართველოს უფროსი;

22/07/2010 - 12/11/2010 წწ. ბათუმის რეგიონული ცენტრის უფროსის მოადგილე;

07/05/2010 - 22/07/2010 წწ. რუსთავის რეგიონული ცენტრის უფროსის მოადგილე;

01/04/2010 - 07/05/2010 წწ რუსთავის რეგიონული ცენტრის საბაჟო დამუშავების ოპერაციების და საბაჟო კონტროლის სამმართველოს უფროსის მოადგილე;

21/09/2009 - 01/04/2010 წწ. რუსთავის რეგიონული ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) საბაჟო დამუშავების ოპერაციების და საბაჟო კონტროლის სამმართველოს უფროსის მოადგილე;

01/09/2009 - 21/09/2009 წწ. რუსთავის რეგიონული ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) საბაჟო დამუშავების ოპერაციის სამმართველოს საბაჟო კონტროლისა და ინფორმაციის დამუშავების განყოფილების უფროსი;

14/03/2007 - 01/09/2009 წწ. სს „სახალხო ბანკის" უსაფრთხოებისა და კონტროლის დეპარტამენტის ოპერატიული ჯგუფის უფროსი;

18/03/2004 - 04/03/2007 წწ. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის უფროსი ოპერატიული თანამშრომელი;

30/01/2004 - 13/04/2004 წწ. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის ოპერატიული სამსახურის აღმოსავლეთის სამმართველოს უფროსი ოპერატიული თანამშრომელი;

01/09/1996 - 09/03/2004 წწ. საქართველოს უშიშროების სამინისტროს სხვადასხვა ოპერატიული დანაყოფის უფროსი ოპერატიული თანამშრომელი.

ენები: ქართული, ინგლისური, რუსული

ოჯახური მდგომარეობა: ჰყავს მეუღლე და ორი შვილი

პატივი მიაგეს 9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნას

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი გურასპაშვილმა, საკრებულოს თავმჯდომარემ მიხეილ ჯანაშვილმა, მერიის, საკრებულოს ხელმძღვანელებმა, თანამშრომლებმა და ა(ა)იპ-ების წარმომადგენლებმა 9 აპრილის მემორიალი გვირგვინით და სიმბოლურად ტიტებით შეამკეს.

„1989 წლის 9 აპრილიდან ზუსტად ორი წლისთავზე, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი მიიღო. ამდენად, 9 აპრილი საქართველოსა და ქართველი ხალხისათვის ერთდროულად არის ცრემლისა და სიხარულის დღე, ჩვენი ისტორიის უმნიშვნელოვანესი ფურცელი", - აღინიშნა ღონისძიებაზე.

1989 წლის 9 აპრილს, გამთენიისას, საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების ნაწილებმა თბილისის ცენტრში, პარლამენტის შენობასთან მშვიდობიანი საპროტესტო აქცია დაარბიეს, რასაც მსხვერპლი მოჰყვა. დარბევის შედეგად 21 ადამიანი დაიღუპა. პარლამენტის წინ შეკრებილი ათასობით მოქალაქე დაუდგენელი შემადგენლობის გაზით მოიწამლა. 1991 წლის 9 აპრილს მაშინდელმა უზენაესმა საბჭომ ეს თარიღი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დღედ გამოაცხადა.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო
დადგენილება № 24

2018 წლის 3 აპრილი ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავების მოსაკრებლის ოდენობის განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ:

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი, მე-2 და მე-6 პუნქტებისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შემოღებული იქნას დასუფთავების მოსაკრებელი.

1. ხაშურისა და დაბა სურამის მოსახლისათვის დასუფთავების მოსაკრებლის განაკვეთი არ უნდა აღემატებოდეს ერთ სულზე 0,50 თეთრს 4 სულამდე ოჯახისათვის, ხოლო 4 სულზე მეტი ოჯახის წევრის შემთხვევაში თვეში არაუმეტეს 2,00 ლარს - ოჯახზე, ხოლო ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ორგანოებში შემავალი სოფლებისათვის დასუფთავების მოსაკრებ

ლის განაკვეთი არ უნდა აღემატებოდეს ერთ სულზე 0,25 თეთრს 4 სულამდე ოჯახისათვის, ხოლო 4 სულზე მეტი ოჯახის წევრის შემთხვევაში თვეში არაუმეტეს 1,00 ლარს - ოჯახზე

2. დაწესებულებებისათვის, ორგანიზაციებისათვის, ინდივიდუალური მეწარმეებისა და იურიდიული პირებისათვის დასუფთავების მოსაკრებლის ოდენობა განისაზღვროს დანართი 1-ის შესაბამისად.

მუხლი 2.

დამტკიცდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავების მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქცია დანართი 2-ის შესაბამისად.

მუხლი 3

საყოფაცხოვრები ნარჩენების შეგროვება-ტრანსპორტირების, ამ ნარჩენების გაუვნებლობის ხარჯები დაიფაროს ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან.

მუხლი 4.

ამ დადგენილების ამოქმედების დღიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 2 თებერვლის №8 დადგენილება „ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავების მოსაკრებლის დადგენის, გადახდის, საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვებისა და უტილიზაციის სამუშაოთა წარმოების განხორციელების წესის დამტკიცების თობაზე“ (www.matsne.gov.ge 02/02/2015 წ. 010250020.35.143.016317)

მუხლი 5.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე მიხეილ ჯანაშვილი

	სამეწარმეო საქმიანობა	ზომის ერთეული „რ“	ნარჩენების წლიური დაგროვების ნორმა მ3	მოსაკრებლის განაკვეთი თვეში (1მ3 ნარჩენის გატანის მომსახურების ღირებულება) ლარი (სვეტი N4) : 12 თვე X 6 ლარი „გ“
1	2	3	4	5
1	მუზეუმები, ბიბლიოთეკები, არქივები (ინფრასტურქტურის ფართზე მოსაკრებელი არ დაერიცხება)	საერთო ფართის 1 მ2	0,022	0,011
2	ოფისები, სააგენტოები, პროფესიული და სახელმწიფო ორგანიზაციები, (ინფრასტურქტურის ფართზე მოსაკრებელი არ დაერიცხება)	საერთო ფართის 1 მ2	*0.1*	*0.05*
3	ბანკები, საკრედიტო და საფინანსო ორგანიზაციები (ინფრასტურქტურის ფართზე მოსაკრებელი არ დაერიცხება)	საერთო ფართის 1 მ2	*0.50*	*0.25*
4	კინოთეატრები და თეატრები	მაყურებლის ერთი სავარძელი	0,331	0,166
5	მოხუცებულთა სახლები, ბავშვთა სახლები (ინფრასტურქტურის ფართზე მოსაკრებელი არ დაერიცხება)	მომსახურების ერთეული ადგილი	0,128	0,064
6	სკოლები, , საბავშვო ბაგა-ბაღები და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებები (ინფრასტურქტურის ფართზე მოსაკრებელი არ დაერიცხება)	ერთ მოსწავლეზე	0,198	0,099
7	სასტუმროები (ინფრასტრუქტურის ფართზე შიდა მომსახურებისათვის მოსაკრებელი არ დაირიცხება)	მომსახურების ერთეული (ერთი საწოლი)	*1.8*	*0.9*
8	საავადმყოფოები (ინფრასტურქტურის ფართზე მოსაკრებელი არ დაერიცხება)	ერთი საწოლი	1,157	0,579
9	პოლიკლინიკები, სამედიცინო დიაგნოსტიკური ცენტრები, ექიმებისა და სტომატოლოგიური კაბინეტები (ინფრასტურქტურის ფართზე მოსაკრებელი არ დაერიცხება)	საერთო ფართის 1 მ2	0,16	0,08
10	სტადიონები, მანეჟები, სპორტულ გამაჯანსაღებელი დაწესებულებების ღია ტერიტორიები (სატურნირო და სავარჯიშო მოედნების გარდა)	ღია ფართის 1 მ2	0,02	0,01
		დახურული ფართის 1 მ2	0,08	0,04
11	სასურსათო საქონლის მაღაზიები (სავაჭრო დარბაზი)	სამუშაო ფართის 1 მ2	*0.76*	*0.38*
12	სამრეწველო საქონლის მაღაზიები (სავაჭრო დარბაზი)	სამუშაო ფართის 1 მ2	*0.25*	*0.125*
13	„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილი იურიდიული პირებისათვის (ე.წ. აგრარული, მსხვილფეხა რქოსანი, წვრილფეხა საქონლისა და ფრინველის ბაზრობები)	საერთო ფართის 1 მ2	*0.30*	*0.15*
		1500 მ2-ის ჩათვლით		
		საერთო ფართის 1 მ2 1500 მ2-ის ზემოთ	*0.20*	*0.10*
14	შერეული საქონლის ბაზრობები, ყვავილების ღია და დახურული მაღაზიები	საერთო ფართის 1 მ2	0,3	0,15
15	ავტოსადგომები და საწყობები პირდაპირი მიყიდვის გარეშე (გარდა საცავებისა პროდუქციის ხანგრძლივი შენახვის დროით)	ღია ფართის 1 მ2	0,02	0,01
		დახურული ფართის 1 მ2	*0.08*	*0.04*
16	ავტოგასამართი სადგურები	საერთო ფართის 1 მ2	0,08	0,04
17	მანქანის საჩვენებელი და გასაყიდი ნაგებობები	ღია საერთო ფართის 1 მ2	0,04	0,02
		დახურული საერთო ფართის 1 მ2	0,08	0,04
18	ა/მანქანების სარემონტო სადგურები, ტექ.მომსახურების ადგილები	ღია საერთო ფართის 1 მ2	*0.1*	*0.05*
		დახურული საერთო ფართის 1 მ2	*0.2*	*0.1*
19	აბანოები, საუნები	საერთო ფართის 1 მ2	0,18	0,09
20	სადალაქოები და სილამაზის სალონები	საერთო ფართის 1 მ2	*0.5*	*0.25*
21	მცირე სამეწარმეო საქმიანობა შენობის შიგნით მიმდინარე წარმოებისას საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები	საერთო ფართის 1 მ2	0,25	0,125
22	რესტორნები, პიცერიები, სასადილოები, კაფეები და ბარები	ერთ დასაჯდომ ადგილზე	2,4	1,2
23	საბანკეტო დარბაზები, სარიტუალო მომსახურებისათვის	ერთ დასაჯდომ ადგილზე	0,96	0.48
24	საცხობები	სამუშაო ფართის 1 მ2	*0.3*	*0.15*
25	დისკოთეკები, ღამის კლუბები,ტოტალიზატორები, სათამაშო, გასართობი ცენტრები და დაწესებულებები	საერთო ფართის 1 მ2	*0.6*	*0.30*
26	ვაგზლები,ბაქნები, რკინიგზის დაწესებულებები და ობიექტები, საავტომობილო სადგურები	ღია ფართის 1 მ2	0,008	0,004
		დახურული ფართის 1 მ2	0,08	0,04
27	ღია ტიპის დასვენებისა და გასართობი თავშეყრის ადგილები, სკვერები, ბაღები, ატრაქციონები	საერთო ფართის 1 მ2	0,008	0,004
28	სამხედრო ნაწილები (ინფრასტურქტურის ფართზე მოსაკრებელი არ დაერიცხება)	ერთი ადგილი	*0.7*	*0.35*
29	საწარმოო ობიექტების ღია ტერიტორიები სადაც მიმდინარეობს საწარმოო პროცესი	საერთო ფართის 1 მ2	*0.01*	*0.005*
30	სერიული პროდუქციის საწარმოების შენობა-ნაგებობები (საწარმოო ნარჩენების გარდა)	საერთო ფართის 1 მ2	*0.08*	*0.04*
31	აფთიაქები	საერთო ფართის 1 მ2	*0.50*	*0.25*
32	სწრაფი გადახდის (ჩარიცხვის) აპარატი	1 ერეული	*3.00*	*ათ.50*

ერთი თვის მოსაკრებლის ოდენობის გაანგარიშება დაწესებულებებისათვის, ორგანიზაციებისთვის, იურიდიული პირებისათვის და ინდივიდუალური მეწარმეებისთვის

მ = გ X რ.

მ – ერთი თვის მოსაკრებელი დაწესებულებებისათვის, ორგანიზაციებისთვის, იურიდიული პირებისათვის და ინდივიდუალური მეწარმეებისთვის (ლარი);

გ – მოსაკრებლის განაკვეთი თვეში ზომის ერთეულზე (ლარი);

რ – ზომის ერთეულის ფაქტობრივი რაოდენობა (შესაბამისი ფართი, ადგილი, საწოლი და ა.შ.).

მოგზაურის შთაბეჭდილებები

ელადის ცხოველმყოფელი მზე

საბერძნეთი! თანამედროვე ცივილიზაციის აკვანი. განუმეორებელია ძველი ბერძნული კუტურა. იგი გახდა საფუძველი და გარკვეულად, უბადლო მაგალითი კაცობრიობის შემდგომი განვითარებისათვის. რომელი ერთი ჩამოვთვალო: დოგმებისაგან თავისუფალი ლიტერატურა და ხელოვნება, მეცნიერების დარგები: ბუნებისმეტყველება, გეოგრაფია, ისტორიული მეცნიერება, აღზრდის სხვადასხვა სისტემის ჩამოყალიბება, (ათენური და სპარტანული აღზრდა), ფილოსოფია, მათემატიკა, არქიტექტურა, მედიცინა, თეატრი, ოლიმპიური თამაშობები.. და უმთავრესი - დღევანდელი ევროპული დემოკრატია.

ცხოველმყოფელია მისი მზე. ოთხი ზღვა (ეგეოსის, იონიის, ხმელთაშუა და ადრიატიკის) აწვდის მას სითბოს და ბალკანეთის ნახევარკუნძულს ზამთარშიც კი ათბობს.

თურქეთის გავლით მივდივართ. გზა ზღვის სანაპიროს მიუყვება, კეთილმოწყობილი ავტობანით, ევროპული ყაიდის სერვისით. სამსუნიდან გზა ზღვას შორდება, ჩრდილოეთით მოვიტოვებთ დასავლეთ პონტოს მთებს და მარმარილოს ზღვასთან, უფრო სწორად ბოსფორის სრუტესთან - თურქეთის სავიზიტო ბარათის ხიდზე გავდივართ, სტამბულს, ყოფილ კონსტანტინოპოლს ვუახლოვდებით. მარჯვნივ, მოშორებით „ოქროს რქა" მოჩანს. მეჰმედ მეორემ, მის დამცავ ჯაჭვებზე გემები რომ გადააცურა და ზღვიდანაც მიადგა ქალაქს, 1453 წელს. მძიმე დღეში მყოფ ბერძნებს

რომის პაპმა დახმარება შესთავაზა, თუ კათალიკობას მიიღებთო. კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსმა შეუთვალა, მირჩევნია თურქული ჩალმა დავიხურო, ვიდრე კათოლიკოსობა მივიღოო. „როდესაც თურქები აია სოფიაში შეიჭრნენ და ეპისკოპოსის თავზე მახვილი აღიმართა, იქნებ მაშინ მაინც მიხვდა რაზე თქვა უარი რელიგიური ფანატიზმით შეპყრობილმა ეპისკოპოსმა". (ივ. ჯავახიშვილი) გვიან, ხმელთაშუა ზღვა თურქების ტბად, რომ იქცა, ალბათ, რომის პაპმაც ინანა, რატომ არ დავეხმარეო. ვენეციელები კი მიხვდნენ, რა საფრთხე ელოდა მათ ვაჭრობას და ბერძნებს ეხმარებოდნენ. მაგრამ რა გამოვიდა, გენუა თურქეთის მხარეზე იბრძოდა. მეტი სიბრიყვე გინდათ?...

საზღვარი და ელადაც ჩვენს წინაა. ეგეოსის ზღვა, სუფთა, წყაროს წყალივით ანკარა. ერთი კვირა სალონიკში და მერე ათენისაკენ მსუბუქი მანქანით ვიარეთ. მთაგორიანი ქვეყანაა საბერძნეთი - 2/3 მთებს უჭირავს. შორს, ჩვენგან, დასავლეთით, ყველაზე მაღალი მთა ოლიმპო მოსჩანს, ანტიკური ღმერთების სამყოფელი. არც ისე მაღალია - 3000 მეტრამდე. ნუთუ ძველ ბერძნებს მართლა სჯეროდათ ოლიმპოს ღმერთების არსებობა?

გზა მთებში მიიკლაკნება. თვალსაწიერზე ზეთისხილის ბაღები, პლანტაციები და ყანებია გადაჭიმული. საბერძნეთი ზეთისხილის ქვეყანაა, მესამე ადგილზეა მსოფლიოში. ძველმა ათენელებმა აპოლონის შეთავაზებულ წყაროს წყალს ათენას შეთავაზებული ზეთისხილი არჩიეს და ქალაქის მფარველ ღმერთად ის გამოაცხადეს. ვუახლოვდებით თერმოპილეს - 300 სპარტელის დიადი გმირობის ადგილს, გავივლით გვირაბს და ატიკაში ვეშვებით-ბერძენ-სპარსელთა ომების ასპარეზზე.

თანამედროვე ათენს განუმეურებელი არქიტექტურული იერი აქვს. აქ თავმოყრილია ანტიკური ხელოვნების ძეგლები. შუასაუკუნეების ბიზანტიური ხუროთმოძღვრების ნიმუშები, რომლებიც შერწყმულია თანამედროვე ნაგებობებთან. საბერძნეთს წინაპრებმა ზრუნვა არ მოაკლეს. ისეთი ძეგლები დატოვეს, რომ მსოფლიო ტურიზმის ცენტრად იქცა. ამ ძეგლთა მოსანახულებლად, ყოველწლიურად მილიონობით მოგზაური ჩამოდის.

პირველ რიგში, აკროპოლისისკენ წავედით. ის იყო ათენის რელიგიური ცენტრი. აქ V საუკუნეში აშენდა პროპილონი (საზეიმო შესასვლელი, პორტიკებით და კოლონადებით შექმნილი) ნიკე აპტეროსის ტაძარი და პართენონი – აკროპოლისის მთავარი ნაგებობა. ყველაზე მეტ ტურისტს სწორედ აქ ნახავთ .პართენონის (მეომრის) პატივსაცემად ცენტრში მდგარა ფიდიასის მიერ შესრულებული ათენის ქანდაკება. ფასადის ფრიზი შემკული იყო სხვადასხვა სცენებით, ფრონტონს ამკობდა სკულპტურული კომპოზიციები. პართენონი დაინგრა 1687 წელს, ვენეცია-თურქეთის ომის დროს. ქანდაკებათა დიდი ნაწილი 1801 წელს დიდ ბრიტანეთში გაზიდეს და ლონდონის „ბრიტანეთის მუზეუმშია" დაცული.

ქალაქში ანტიკური ეპოქის ბევრი ძეგლია: „დიონისეს თეატრი", „ოდეონი" (სიმღერის) „ზევსის ტაძარი", „ჰეროდე ადიკალის" თეატრი, აქ დღესაც იმართება საოპერო სპექტაკლები. შუა საუკუნეებიდან მხოლოდ ქრისტიანული ტაძრებია შემორჩენილი. ბერძნები მართლმადიდებლები არიან, მიუხედავად ამისა, რელიგიურ დღესასწაულებს გრიგორიანული კალენდრით აღნიშნავენ.

ვიყავი ათენის „ეროვნულ-ალქეოლოგიურ მუზეუმში". მითხრეს, რომ იგი ერთ-ერთი საუკეთესოა ანტიკური საბერძნეთის ხელოვნების გასაცნობად. აქ არის უამრავი არქეოლოგიური და ხელოვნების ნიმუშები, ქანდაკებები, ამფორები წარწერებით და ნახატებით. ბერძნები სიამაყით საუბრობენ გარდასული ეპოქის მოღვაწეებზე - „მეხოტბეები გარდასულ დროთა" (ჩვენსავით). ჩემი ყურადღება განსაკუთრებით მიიქცია ათენის დემოკრატიის შემქმნელებმა, სოლონმა და პერიკლემ. სოლონის რეფორმებიდან ზოგიერთი რამ დღესაც აქტუალურია: ყველა მშობელი ვალდებული იყო შვილებისთვის ხელობა შეესწავლებინა. პოლიტიკურ ბრძოლაში არააქტიურობის და გულგრილობისადმი მოქალაქეობის ჩამორთმევა (ატომია). სხვათაშორის, დანტემ, ასეთები ჯოჯოხეთშიც კი არ შეუშვა. „უბადრუკნი ვინც ვერ გახდა სააქაოში, ვერც ქების და ვერც გინების." სოლონმა შემოიღო ჯარიმა ბილწსიტყვაობისათვის. ჯარიმა ჩვენთანაც რომ შემოიღონ, კარგი იქნებოდა.

ათენის პოლისის ყველაზე დიდ წარმომადგენელ პერიკლეს 4 გამოსვლას სახალხო კრებაზე ჭექა-ქუხილის ღმერთს – ზევსს ადარებდნენ, ამავე დროს, გასაოცრად თავშეკავებული იყო: აგორაზე, მისი ერთ-ერთი გამოსვლის შემდეგ, მოწინააღმდეგე პარტიას ერთმა წევრმა, უამრავი შეურაცხყოფა მიაყენა. წინ წასულს, უკან გაჰყვა, თან ლანძღავდა. ამასობაში დაღამდა. პერიკლემ მონას დაუძახა, ჩირაღდანი გამოიტანე და სახლამდე მიაცილე. ბნელი ღამეა და არაფერი მოუვიდესო.

თანამედროვე საბერძნეთის ისტორია 1453 წლიდან იწყება, თურქეთის მიერ კონსტანტინოპოლის აღებიდან (ეს თარიღი ჩვენთვისაც დამღუპველი გამოდგა). ამას მოჰყვა საბერძნეთის ოკუპაცია და თურქთა 400 წლოვანი ბატონობა. ბერძნებმა ბევრჯერ მოაწყეს აჯანყება თავისუფლებისათვის, მაგრამ ამაოდ. მხოლოდ 1821-29 წლებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი რევოლუციის შემდეგ მოიპოვეს დამოუკიდებლობა. არც ამის შემდეგ შეუწყვეტიათ ბრძოლა. უკანასკნელი იყო 1920-2 წლებში, რამდენიმე ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ სტამბოლსაც მიადგნენ, მაგრამ ათათურქის ჯარებთან დამარცხდნენ და ზავი დაიდო. დღესაც არ არის მათ შორის კარგი ურთიერთობა, მიუხედავად ნატოს წევრობისა. ბერძნები სიტყვა სტამბოლს არ ხმარობენ, მათთვის ეს ქალაქი კონსტანტინოპოლია.

ისე, კაცმა რომ თქვას, ახალ ბერძნებს, ძველებთან მხოლოდ სახელწოდება აკავშირებთ და მაინცდამაინც თავს არ იკლავენ ჰომეროსის და ჰესიოდეს კითხვით. ისე, როგორც არც ჩვენ ვიკლავთ თავს „ვეფხისტყაოსნის" კითხვით.

გეოგრაფიული პირობები, ოთხი ზღვა, 100-მდე კუნძული, შეჭრილ-შემოჭრილი სანაპირო - თევზჭერას და საზღვაო ნაოსნობის განვითარებას უწყობს ხელს. საზღვაო-სავაჭრო ფლოტით ერთ-ერთ პირველ ადგილზეა მსოფლიოში

მთელ დღეს ეგეოსის ზღვის პირას ვატარებ, უამრავი ქართველი გავიცანი, ტრაილერებზე და სეინერებზე მუშაობენ. ერთი მათგანი სეინერის კაპიტანიც იყო და ეკიპაჟის ნახევარი ქართველები ჰყავდა. ისინი აქ ოჯახებით ცხოვრობენ, ბავშვების ერთი ნაწილი ბერძნულ სკოლებში დადის და ქართული თითქმის დავიწყებული აქვთ. ქალების უმეტესობა ოჯახებში მუშაობს. ზოგიერთ მათგანს მცირე ბიზნესი აქვთ (სახინკლე, ქართული შოთის პური), მამაკაცები მშენებლობაზეც მუშაობენ. ერთმანეთთან კავშირი აქვთ და ხშირად იკრიბებიან. ისინი ოჯახებს ინახავენ, ზოგიერთი მათგანი კი დანაზოგით, ბინას ყიდულობს თბილისში.

უჭირს ეკონომიურად საბერძნეთს. დიდი ვალები აქვს. ევროკავშირი იძულებული გახდა 200 მილიარდი დოლარი ვალი დაეფარა.

ქართველები მათთვის იაფი მუშახელია. თვითონ კი გერმანიაში მიდიან უკეთესი ცხოვრების საძებნელად.

კლიმენტი სუთიაშვილი

ჩემი ევროპა

სახლი, რომელიც არ მინახავს

გომის საჯარო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლემ ლიზი ბლიაძემ „ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის“ ესსეების კონკურსში - „ჩემი ევროპა“- გაიმარჯვა.

დაჯილდოება 30 მარტს, 14 საათზე, თბილისში, სასტუმრო „რუმსში“, აშშ საელჩოს მონაწილეობით გაიმართა. გამარჯვებულები სპეციალური სერტიფიკატებით დაჯილდოვდნენ. გამარჯვებულმა და მისმა სამოქალაქო განათლების მასწავლებელმა ციური თედიაშვილმა, სხვა მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან ერთად, ლოპოტაზე, საგაზაფხულო სკოლის მიერ ორგანიზებულ შეხვედრებში მიიღეს მონაწილეობა.

სკოლის მოსწავლეებისთვის განკუთვნილ ესსეების კონკურსს „ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი“ აშშ საელჩოს დემოკრატიის კომისიის მცირე გრანტების პროექტის - „ანტიდასავლური პროპაგანდის შეკავება ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის ეკონომიკური ასპექტების შესახებ განათლების გაძლიერების გზით“ ფარგლებში ატარებს.



გთავაზობთ კონკურსში გამარჯვებულ ესსეს:

მე მაქვს სახლი, რომელიც არ მინახავს. ის ჩემი ახლანდელი სახლიდან დაახლოებით 270 კილომეტრითაა დაშორებული, “გუგლის რუკით” ვათვალიერებთ ხოლმე. მის გარშემო სახლებს სახურავები აღარ აქვს, დედას ყველა გზა და შესახვევი ახსოვს.

ამ სახლის ამბის უკან მძიმე ისტორიაა, ჩემს დაბადებამდე მომხდარი ამბები, რომლის შესახებაც მოგვიანებით გავიგე ახლობლებისაგან, შემდეგ კი სკოლიდან და ტელევიზიიდან. როგორც ამიხსნეს, დევნილი ვარ, მაგრამ ახლა ამაზე არ ვილაპარაკებ.

ოჩამჩირეში მდებარე სახლმა ბევრი რამ განსაზღვრა ჩემს ცხოვრებაში. მათ შორის, ჩემი და ჩემი ოჯახის პროდასავლური არჩევანი. ამ სახლმა მომცა სტიმული განვვითარდე და შევძლო დავეხმარო ჩემს ქვეყანას, რომელიც ამჟამად ოკუპირებულია. ევროპული არჩევანი ჩემთვის არჩევანი არც არის, მგონია, რომ სხვა არჩევანი არც გვაქვს. მხოლოდ ამ გზაზეა პროგრესი და მომავალი, მეორე გზა კი მხოლოდ ომსა და უკუსვლას გულისხმობს.

მითები და ფაქტები ევროკავშირისა და ევროპის შესახებ

სამწუხაროდ, ძალიან ბევრი ჭორი და მითი ვრცელდება ევროპასა და მის ფასეულობებზე. ეგრეთწოდებული “ყალბი ამბები” ინტერნეტში ყოველდღიურად გვხვდება: ამბობენ, რომ ევროპა გარყვნილების ადგილია, რომ ის ემუქრება ჩვენს სარწმუნოებას, რომ მათ უნდათ ჩვენი გადაგვარება. ამას ბევრი იჯერებს, მეზობლისგანაც გამიგონია ასეთი ლაპარაკი, ეკლესიაშიც და ქუჩაშიც.

ეს ყველაფერი არ არის სინამდვილე და ამის შესახებ ბევრი ინფორმაციის მოძებნა შეიძლება. რადგან ამდენი ტყუილი ვრცელდება, უნდა ვისწავლოთ ინფორმაციის გადამოწმება და შემდეგ სხვებსაც ავუხსნათ, რა როგორაა სინამდვილეში. მაგალითად, როდესაც გვეტყვიან, რომ ევროპაში “ქართველობას დავკარგავთ”, უნდა ვიცოდეთ, რომ ევროკავშირის დევიზია “ერთიანობა მრავალფეროვნებაში”, რაც გულისხმობს განსხვავებული კულტურის მქონე ქვეყნების ერთობას. ევროკავშირი მხარს უჭერს კულტურული მემკვიდრეობის დაცვასა და რესტავრაციას.

ბევრ ადამიანს აწუხებს ის მოსაზრება, რომ ჩვენს რელიგიას ევროკავშირთან ურთიერთობით საფრთხე ემუქრება, რადგან ისინი სხვა რელიგიის მიმდევრები არიან. როგორც უკვე ვთქვით, ევროკავშირი მრავალფეროვნების დამცველია და არა-მტერი, გარდა ამისა, იქ არის მართლმმადიდებელი ქვეყნებიც. მაგალითად, საბერძნეთი და ბულგარეთი. მათ თუ არ ემუქრებათ საფრთხე, ჩვენ რატომ დაგვემუქრება? არის კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტი, 2014 წელს ევროკავშირის წარმომადგენელი შტეფან ფულე შეხვდა საქართველოს პატრიარქს ილია II-ს, სადაც პატრიარქმა მხარდაჭერა გამოხატა საქართველოს ევროპული არჩევანის მიმართ.

ჩვენს პატრიარქზე მეტად ვის უნდა აწუხებდეს ეკლესიასთან დაკავშირებული საფრთხეები? მითები უნდა გაქარწყლდეს და არ უნდა დავიზაროთ სხვასაც ვუამბოთ ამ ფაქტების შესახებ.

ევროპა ჩემთვის

ევროპული ღირებულებები საყოველთაოდ ცნობილია: ადამიანის უფლებების დაცვა, დემოკრატია, თანასწორობა, კანონის უზენაესობა, ტოლერანტობა, თანასწორობა განმასხვავებელი ნიშნების მიუხედავად და ა.შ. ამ სიტყვების მიღმა ჩვენი ყოველდღიური ცხოვრებაა, რაზეც ეს ყველაფერი აისახება.

მაგალითად, ევროპა ჩემთვის ნიშნავს, რომ კლასში არავის დავცინებ და არც არავინ დამცინებს და თუ ეს მაინც მოხდა, გარშემო იქნება ადამიანი, ვისაც ამის შესახებ ვეტყვი და ის აუცილებლად დამეხმარება. ევროპა ჩემთვის ნიშნავს, რომ ჩემს პატარა ძაღლს, რომელსაც სახლში ჯუჯას ვეძახით, არავინ სცემს და არავინ მოკლავს და თუ ვინმე რამეს დაუშავებს, გარშემო აუცილებლად იქნება ისეთი ადამიანი, ვისაც ამის შესახებ ვეტყვი და მისთვის მე და ჩემი ჯუჯა უმნიშვნელოები არ ვიქნებით - ის მეც დამეხმარება, ჯუჯასაც და იმ ადამიანსაც, ვინც ცხოველს ცუდად მოექცა.

ევროპა ჩემთვის ნიშნავს, რომ არ მომერიდოს კითხვის დასმა თუ რაიმე არ ვიცი, არ შემეშინდეს საკუთარი განსხვავებული აზრის გამოთქმის არსად - არც თანატოლებთან და არც უფროსებთან.

ევროპა ჩემთვის იმედს ნიშნავს - გავხდე უკეთესი, უფრო ძლიერი და ვიყო საიმედო ჩემთვის ძვირფასი ადამიანებისთვის.

ზოგჯერ მეუბნებიან, რომ ზედმეტად მგრძნობიარე ვარ. არ ვიცი, შეიძლება მართალია. მინდა ვიცოდე, რომ დედას, რომელიც სკოლაში მუშაობს, მამას, რომელიც რკინიგზაში მუშაობს, ბებოს, უფროს ძმას და პატარა დაიკოს, ჩემს პატარა ძაღლს – ჯუჯას უსამართლოდ არავინ აწყენინებს და ცუდად არავინ მოექცევა. და თუ ეს მაინც მოხდა, იქნება ისეთი ადგილი, სადაც მივალთ და იქ დაგვეხმარებიან, რომ ყველაფერი გამოვასწოროთ და სამართლიანად დასრულდება ყველაფერი. ასევე თუ ვინმეს ჯანმრთელობის პრობლემა ექნება, კარგი ექიმები მიხედავენ და გვექნება საშუალება საჭირო წამლები ვიყიდოთ. ეს ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

რასაც ევროპაზე, ევროკავშირზე მიყვებიან სკოლაში, ტელევიზიით ან რასაც ინტერნეტში ვკითხულობ – მგონია, რომ ეს სწორედ ასეთი სისტემაა. ამიტომაც ვფიქრობ, რომ ევროკავშირს ჩემთვის სტიმულთან ერთად, სტაბილურობის შეგრძნება და სიმშვიდე მოაქვს. ესაა სივრცე, სადაც შევძლებ, ვიყო ზედმეტად მგრძნობიარე ისე, რომ ამის გამო არ დავიჩაგრო.

და კიდევ ნიშნავს - მოგზაურობას ბევრ საინტერესო ქვეყანაში და კარგი განათლების მიღების შესაძლებლობას. ეს ყველაფერი ახლა უკვე ძალიან გამარტივდა ვიზალიბერალიზაციისა და ასოცირების ხელშეკრულების შედეგად.

რა იქნება შემდეგ?

ვიცი, რომ ევროკავშირში გაწევრიანება ძალიან რთული და ხანგრძლივი პროცესია და ზუსტად არ ვიცი, როდის შევძლებთ ამას. ჩვენ წლების განმავლობაში უნდა განვახორციელოთ რეფორმები, რომ წინ წავიწიოთ. ეს, ერთი შეხედვით, რთულია და ბევრი ამბობს, რომ აბა, რიღასთვის ვწვალობთ ამდენს, თუ ამდენ ხანს მოვუნდებით გაწევრიანებას და შეიძლება ვერც კი გავწევრიანდეთ.

საქმე სულ სხვანაირად არის: სინამდვილეში ჩვენ ევროკავშირთან თანამშრომლობის ყოველ ეტაპზე უკვე ვიღებთ სარგებელს და წინ მივიწევთ, როგორც ქვეყანა. მაგალითად, გავაფორმეთ ხელშეკრულება ვაჭრობასთან დაკავშირებით, რაც საშუალებას გვაძლევს ქართული პროდუქცია გავიტანოთ ევროპაში და ეკონომიკურად უფრო ძლიერები გავხდეთ. ასოცირების ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, საშუალება გვაქვს უვიზოდ ვიმოგზაუროთ ევროპაში.

ასოცირების შესახებ შეთანხმება მიზნად ისახავს ტერიტორიული მთლიანობის, საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ აღიარებული საზღვრების დაურღვევლობის, სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის პრინციპების დამკვიდრების ხელშეწყობას, როგორც ეს განსაზღვრულია გაერო-ს 1945 წლის ქარტიაში და ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის შესახებ 1975 წლის ჰელსინკის კონფერენციის საბოლოო აქტში.

ეს ბოლო აბზაცი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩემთვის, რადგან ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობასა და დამოუკიდებლობას ეხება. მე მგონია, რომ ჩემი ქვეყანა გააგრძელებს ამ გზაზე სვლას სირთულეების მიუხედავად და ეს გზა, ერთ დღესაც, ჩემს სახლთან მიმიყვანს.

გაიმართა ინტერმუნიციპალური თავშესაფრის პროექტის პრეზენტაცია

გორის მუნიციპალიტეტის მერიის საკონფერენციო დარბაზში, ცხოველთა ინტერმუნიციპალური თავშესაფრის პროექტის პრეზენტაცია გაიმართა. შეხვედრას საზოგადოების და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ღონისძიება გუბერნატორის ადმინისტრაციის ინიციატივითა და ორგანიზებით გაიმართა და მის მიზანს თავშესაფრის კონცეფციის საჯარო განხილვა წარმოადგენდა. პროექტის თანახმად, თავშესაფარში განთავსდება თანამედროვე დანადგარებით აღჭურვილი, ცხოველთა საოპერაციო და პოსტსაოპერაციო კაბინეტები, სხვადასხვა კატეგორიის ცხოველზე გათვლილი ვოლიერები და კრემატორიუმი, სადაც განუკურნებელი დაავადების გამო დაძინებული ცხოველების კრემაცია მოხდება. პროექტში, ასევე, გათვალისწინებულია ცხოველთა პოპულაციის მართვის ძირითადი და პრიორიტეტული მეთოდები. თავშესაფრის შენობა აღიჭურვება უსაფრთხოების სისტემებით, პროექტის განხორციელების შემთხვევაში, ტერიტორიაზე მოეწყობა ინდივიდუალური საკანალიზაციო სისტემა.

პროექტის ავტორთა თქმით, თავშესაფარს მოემსახურება ოთხი ავტომობილი, რომლებიც უმტკივნეულო მეთოდებით უზრუნველყოფენ ქუჩიდან ცხოველის თავშესაფარში გადაყვანას, სადაც, მდგომარეობის გათვალისწინებით, მათ შესაბამისი სამედიცინო თუ სხვა სახის მანიპულაციები ჩაუტარდება, რის შემდეგაც, მოხდება ცხოველთა ანკეტირება და საკუთარ ტერიტორიაზე დაბრუნება. თავშესაფრის სერვისებით ისარგებლებენ როგორც უპატრონო, ასევე მზრუნველობის ქვეშ მყოფი ცხოველები.

შეხვედრაზე დამსწრე საზოგადოების მიერ გაჟღერებული შეკითხვები ძირითადად ადმინისტრირებისა და მართვის საკითხებს ეხებოდა, რომელსაც პასუხებს პროექტის ავტორები სცემდნენ. რწმუნებული-გუბერნატორის განმარტებით, ადმინისტრირებისა და ტექნიკური მოცემულობის საკითხები მენეჯმენტის პროგრამა იქნება, ამ შემთხვევაში კი, მხოლოდ პროექტის კონცეფტუალური ნაწილი განიხილება. პროექტი გადაეგზავნება მუნიციპალიტეტებს, რომლებიც თავად მიიღებენ გადაწყვეტილებას ცხოველთა ინტერმუნიციპალური თავშესაფრის შექმნის საკითხზე.

ტრენინგი აზიური ფაროსანას წინააღმდეგ საბრძოლველად

ხაშურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში, აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის შესახებ შეხვედრა - ტრენინგი გაიმართა.

სურსათის ეროვნული სააგენტოს მცენარეთა დაცვის დეპარტამენტის უფროსმა ნიკა მესხმა, შეხვედრის მონაწილეებს აზიური ფაროსანას და მისი კონტროლის საშუალებებზე ინფორმაცია მიაწოდა. კერძოდ, დამჭერ ფერომონის, პესტიციდის და სხვათა შესახებ, რომლებიც მავნებელ



მწერთან ბრძოლის წინააღმდეგ უნდა იქნეს გამოყენებული.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს სპეცპროექტის მედიაჯგუფის წარმომადგენელმა გიგი არაბიძემ და ფსიქოლოგ - ტრენერმა

მაია რაზმაძემ, მოსახლეობისათვის სწორი ინფორმაციის მიწოდებასა და ცნობიერების ამაღლების აუცილებლობას გაუსვეს ხაზი.

დაისვა კითხვები და გაიმართა დისკუსია საკითხთან დაკავშირებით.

შეხვედრას ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები, საკრებულოს, ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლები და დაინტერესებული პირები.

არსებობს აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის საკოორდინაციო შტაბის ოფიციალური გვერდი, სადაც მომხმარებელს შეუძლია გაეცნოს საქართველოში ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის კამპანიას.

სოფელ ტეზრის მისასვლელი გზა კეთილმოეწყობა

ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ტეზერში სოფელში მისასვლელი ცენტრალური გზის მოასფალტების სამუშაოები მიმდინარეობს.

პროექტის ჯამური ღირებულება 540 999 ლარია. მათივე ინფორმაციით, ამ ეტაპზე ხდება გზის დაპროფილება, რის შემდეგაც, დაიწყება ქვიშა-ხრეშით მოსწორება, ხოლო შემდეგ-ასფალტის დაგება.

გზა ქვიშხეთის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლების - ტეზრის, ყიფიანთუბნისა და სავანისუბნისთვის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ცენტრთან დამაკავშირებელი ძირითადი საშუალებაა. მისი რეაბილიტაცია მოქალაქეების გადაადგილების პირობებს მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს.

სამუშაოები გაზაფხულის ბოლოსთვის დასრულდება და 2000-მდე ადგილობრივსა და სტუმრებს უსაფრთხო და კომფორტულად გადაადგილების შესაძლებლობა ექნებათ.

კოდისწყაროს ტბა -- ტურისტული პოტენციალის მქონე ულამაზესი კერა ჩვენს მუნიციპალიტეტში.

ლაშა ჩადუნელი ნაკრებს მიუახლოვდა

ძიუდოში, თბილისის „გრანპრი" ერთ-ერთი უპრესტიჟულეს ტურნირად ითვლება სპორტის ამ სახეობაში. ამ ტურნირზე მოპოვებული წარმატება კი სპორტსმენის მაღალ კლასზე მეტყველებს. აღსანიშნავია, რომ ლეგენდარული რამაზ ხარშილაძის შემდეგ, ხაშურელ სპორტსმენს ამ ტურნირზე არასოდეს მიუღწევია მაღალი შედეგისათვის. და აი, ეს უსიამოვნო ტრადიცია ლაშა ჩადუნელმა დაარღვია, რომელმაც 60 კილოგრამი წონით კატეგორიაში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. გზად მან ჯერ ყაზახი, შემდეგ კი ისრაელის წარმომადგენელი ჩამოიშორა. რუს სპორტსმენთან დამარცხების შემდეგ, მესამე ადგილისთვის ბრძოლაში, პლონელი დაამარცხა, ბრინჯაოს ფინალში კი, ულამაზესი გდებით, აზებაიჯანელი ძიუდოისტი დააიპონა. როგორც მისი მწვრთნელები ბეგლარ ხარშილაძე და ომარ ლომიძე ამბობენ, ლაშას ჯერ კიდევ წინ აქვს ყველაფერი და მისგან კიდევ მრავალ გამარჯვებებს ელიან. რაც მთავარია, ლაშა დღეისათვის საქართველოს ნაკრების წევრია და მისი უკვე ნაკრების მწვრთნელებსაც ეიმედებათ.



ჩვენც გვჯერა, რომ ლაშას მომავალშიც ბევრჯერ ასახელებს ჩვენს მუნიციპალიტეტს და მთელ საქართველოს.

- თამბაქო -
რეგულაციები 1 მაისიდან ამოქმედდება

მარტის ბოლოს, საქართველოში, ჯანმრთელობის სამინისტროსა და არასამთავრობო ორგანიზაციების ინიციატივით, აღინიშნება დღე „საქართველო თამბაქოს გარეშე" და იგი ეძღვნება თამბაქოსაგან თავისუფალი გარემოს მნიშვნელობის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას. ამ დღესთან დაკავშირებით, ხაშურის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენ

ტრმა საინფორმაციო შეხვედრა გამართა ხაშურის საჯარო სკოლების თვითმმართველობის ლიდერებთან.

ხაშურის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ხელმძღვანელი **დავით ჩიქოვანი**: პირველი მაისიდან ძალაში შედის კანონი თამბაქოს შესახებ, რომელიც არეგულირებს, დახურულ სივრცეებში, ასევე სკოლისა და სამედიცინო დაწესებულების ეზოებში თამბაქოს მოწევას. შიდა რეგულაციებით თამბაქოს მოწევა დასაშვები იქნება, მხოლოდ, ფსიქიატრიულ კლინიკებში, საკუთარ საცხოვრებლებში და სასჯელაღსრულების დაწესებულებებში. დამრღვევთათვის საკმაოდ დიდი ჯარიმებია. ჩვენ დავიწყებთ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში შესვლას და გაფრთხილებას, რადგანაც, სიგარეტის მოწევის შემთხვევაში, თავად დაწესებულება ჯარიმდება 500-დან - ათას ლარამდე. თუ დაწესებულების მფლობელი გააფრთხილებს მომხმარებელს სიგარეტის მოწევის აკრძალვასთან დაკავშირებით და მწეველი არ დაემორჩილება, ის იქნება დაჯარიმებული პირველად 50, ხოლო, შემდგომ - ასი ლარით.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მერის წარმომადგენლების საქმიანობის კოორდინაციის განყოფილების სპეციალისტი

ზურაბ ჭარხალაშვილი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

გაზეთის „ხაშურის მოამბე" რედაქციის თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლების საქმიანობის კოორდინაციის განყოფილების სპეციალისტი

ზურაბ ჭარხალაშვილი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს

D საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ხაშურის რაიონული ორგანიზაცია თანაუგრძნობს VII საჯარო სკოლის პედაგოგს დალი რაზმაძეს მეუღლის გარდაცვალების გამო.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე". დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.